საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 960

15 10 2019 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, 35-ე, 36-ე, 39-ე-43-ე მუხლების, 126[1] მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-7 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

2. კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადის წარდგენის ვადა განისაზღვრება საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (www.hr.gov.ge) კონკურსის გამოცხადებიდან 10 კალენდარული დღის ოდენობით.
3. ფინასური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები განისაზღვროს დანართი №1 - ის შესაბამისად;
4. კონკურსში მონაწილე კანდიდატი ვალდებულია:
ა) კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და პროფესიული გამოცდილების ამსახველი დოკუმენტაცია წარმოადგინოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით.
ბ) www.hr.gov.ge - ს „ჩემი რეზიუმეს" დამატებითი დოკუმენტაციის ველში ატვირთოს უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის - დიპლომის ასლი;
გ) მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა (სახელი, გვარი, სამუშაო ადგილი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი);
დ) წარმოადგინოს სამოტივაციო წერილი, რომელიც, გარდა ამ ვაკანტური თანამდებობის მიმართ კანდიდატის მოტივაციისა, შეიცავს ინფორმაციას ამ მიმართულებით მისი სამომავლო ხედვის შესახებ.
5. კონკურსი ჩატარდეს 3 ეტაპად:
ა) კანდიდატების მიერ წარმოდგენილი განცხადებების გადარჩევა;
ბ) ზეპირი დავალება;
გ) გასაუბრება.
6. კანდიდატთა შეფასება განხორციელდეს ზეპირი დავალებისა და გასაუბრების საფუძველზე.
7. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ქულათა სისტემის საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.
8. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია: სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1; ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
9. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.
10. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საორგანიზაციო სამმართველოს ამ ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე - www.eqe.ge გამოქვეყნების უზრუნველყოფა.
11. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
12. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორის
მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე ბაღიშვილი

ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილი მოთხოვნები

1. **თანამდებობრივი სარგო** - 2500 ლარი;
2. **სამუშაოს ტიპი** - სრული განაკვეთი;
3. **ადგილების რაოდენობა** -1;
4. **გამოსაცდელი ვადა** - 3 თვე;

5. **საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

ა) უმაღლესი განათლება ფინანსების ან ეკონომიკის მიმართულებით;
ბ) საფინანსო საქმიანობის არანაკლებ 3 - წლიანი გამოცდილება, მათ შორის, საჯარო სექტორში მუშაობის არანაკლებ 1 - წლიანი გამოცდილება, რაც უნდა დასტურდებოდეს კანდიდატის მიერ წარმოდგენილი რეზიუმეთი;
გ) მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 1-წლიანი გამოცდილება;
დ) კომპიუტერული (საოფისე) პროგრამების (Ms. Word, Ms. Excel), საქართველოს სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემის (eTreasury) და Oris-ის კარგად ცოდნა.

6. **შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:**
6.1. ცენტრის დებულებით ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს ფუნქციას მიკუთვნებული საქმიანობის ხელმძღვანელობა - დაგეგმვა, კოორდინაცია, თანამშრომელთა მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხისა და დროულობის კონტროლი;
6.2. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცენტრის მიმდინარე ფინანსური საქმიანობის წარმართვის უზრუნველყოფა;
6.3. ცენტრის ბიუჯეტის პროექტის მომზადება და ცენტრის დირექტორისთვის წარდგენა;
6.4. ცენტრის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი;
6.5. ცენტრის ნაერთი ბიუჯეტის პროექტის შედგენა და მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად, ცენტრის ნაერთი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მიმართულებების განსაზღვრის უზრუნველყოფა ხარჯების დამტკიცებული კლასიფიკაციის მიხედვით;
6.6. ცენტრის საბუღალტრო აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება და ბალანსის შედგენა;
6.7. ცენტრის პროექტების წინასწარი ფინანსური ანალიზის მომზადება;
6.8. ცენტრის ფინანსური ანგარიშების მომზადება და ცენტრის დირექტორისათვის წარდგენა;
6.9. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად ქონების მიღება/გაცემასთან დაკავშირებული ოპერაციების განხორციელება, გარდა სახელმწიფო შესყიდვებისა;
6.10. კომპეტენციის ფარგლებში ცენტრის დირექტორის ბრძანებების მომზადების/ვიზირებისა და ხელშეკრულებების ვიზირების უზრუნველყოფა;
6.11. ფინანსური უზრუნველყოფის სამმართველოს შიდა დებულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულება;
6.12. ხელმძღვანელის სხვა დავალებების შესრულება, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

7. **კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:**
7.1. სწრაფი რეაგირება და გადაწყვეტილების მიღება;
7.2. პრობლემების გადაჭრა;
7.3. ანალიტიკური და სისტემური აზროვნება;
7.4. შემჭიდროვებულ ვადებში მუშაობა;
7.5. დეტალებზე ორიეტირებულობა;
7.6. გუნდური მუშაობა.

8. **კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი საკონკურსო თემატიკის ცოდნა:**
8.1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
8.2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
8.3. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
8.4. საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
8.5. საქართველოს კანონი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“;
8.6. საქართველოს კანონი „გრანტების შესახებ“;
8.7. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება“ საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
8.8. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება “საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ;
8.9. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის №220 ბრძანება ,,დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“;
8.10. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2012 წლის 11 აპრილის №112 ბრძანება,,სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების ფორმებისა და მათი წარდგენის ვადების დამტკიცების თაობაზე“;
8.11. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის №385 ბრძანება ,,პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“;
8.12. „საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №98/ნ ბრძანება;
8.13. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის N 89/ნ ბრძანება.